კნაუფ – როტბანდი

თაბაშირის უნივერსალური ბათქაში

გამოყენების სფერო

კნაუფ-როტბანდი – ეს არის თაბაშირის შემკვრელის საფუძველზე დამზადებული უნივერსალური მშრალი საბათქაშე ნარევი დანამატებით, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალ ადჰეზიას.

განკუთვნილია ჩვეულებრივი მკვრივი საფუძველის მქონე (ბეტონი, აგური, ცემენტის ბათქაში) ჭერებისა და კედლების ხელით მაღალხარისხიანი მობათქაშებისათვის, ასევე გამოიყენება ქაფპოლისტიროლის, ცემენტ-ბურბუშელიანი ფილების, ნორმალური ტენიანობის მქონე ოთახების შიდა ზედაპირების, სამზარეულოების და აბაზანების მოსაბათქაშებლად. განსაკუთრებით რეკომენდებულია გლუვი ზედაპირის მქონე ბეტონის ჭერებისა და კედლებისათვის.

ტექნიკური მახასიათებლები

ბათქაშის ფენის სისქე

მინიმალური	5 მმ
მაქსიმალური	50 მმ
წონა ნაყარ მდგომარეობაში	640-770 კგ/მ³
ხსნარის გამოსავლიანობა 100 კგ. ნარევიდან	~ 120 ლ.
ხარჯი	~ 8.5 კგ/მ²
გაშრობის დრო	~ 7 დღე-ღამე

სიმტკიცე

კუმშვაზე	> 2.5 მპა
ღუნვაზე	> 1.0 მპა

თბოგამტარობის კოეფიციენტი	0.25 ვტ/მ *K

შეფუთვა და შენახვა

კნაუფ როტბანდი დაფასოებულია ქაღალდის ტომრებში 30, 10 და 5 კგ-იანი შეფუთვით. კნაუფ როტბანდის მშრალი ნარევის ტომრები უნდა ინახებოდეს მშრალ სათავსოებში ხის ქვეშებზე. მასალა დაზიანებული ტომრებიდან გამოყენებული უნდა იქნას პირველ რიგში. შენახვის ვადა დაუზიანებელ შეფუთვაში – 6 თვე.

ზედაპირის მომზადება

დასუფთავება

ზედაპირი დაასუფთავეთ ჭუჭყის, მტვერის და აშრევებებისაგან. ბეტონს მოაშორეთ ყალიბებიდან დარჩენილი ზეთი. ზედაპირს მოაცილეთ ამოშვერილი ნაწილები, ლითონის ელემენტები დაიცავით კოროზიისაგან. საფუძველი უნდა იყოს მშრალი და მყარი, ტემპერატურით არანაკლებ +5°C-სა .

დაგრუნტვა

საბათქაშე ხსნარის არათანაბარი შეჭიდების თავიდან ასაცილებლად, ტენის ძლიერად მშთანთქავი ზედაპირები, როგორიცაა სილიკატური და კერამიკული აგური, გაზობეტონი უნდა დამუშავდეს წყალში განზავებული (შეფარდებით 1:3) გრუნტით კნაუფ – გრუნდირმიტელით ან კნაუფ როტბანდ-გრუნდით ფუნჯის, ლილვაკის ან მფრქვევანას მეშვეობით.

მკვრივი, გლუვი, ტენის სუსტად ან არმშთანთქავი ზედაპირები, ისეთები როგორიცაა მაგალითად ბეტონი, ცემენტის ბათქაში, ქაფპოლისტიროლის ფილები წინასწარ მუშავდება გრუნტით კნაუფ-ბეტოკონტაქტი, რათა მოხდეს ზედაპირთან ბათქაშის ადჰეზიის (შეჭიდების) გაუმჯობესება. დატანის შემდეგ დაელოდეთ გრუნტის გაშრობას. დაგრუნტული ზედაპირი დაიცავით მტვერისაგან.

სანიშნულე პროფილების დაყენება

ზედაპირზე ვერტიკალურად 30 სმ-იანი ბიჯით დაიტანეთ კნაუფ როტბანდის საბათქაშე ხსნარის მცირე პორციები. ჩაამაგრეთ მათში სანიშნულე პროფილები და გაასწორეთ ისინი ერთ სიბრტყეში. პროფილების ბიჯი არ უნდა აღემატებოდეს სამართის სიგრძეს.

დამცავი კუთხის პროფილების დაყენება

კნაუფ როტბანდის ხსნარი მცირე პორციებად წაუსვით კუთხის პროფილების შიდა მხარეს ბიჯით 30 სმ.

პროფილები დააყენეთ კუთხეებში და მოიყვანეთ ისინი სანიშნულე პროფილებთან ერთ სიბრტყეში, პროფილის შუა ნაწილიდან კიდეებისაკენ მიჭერით.

კნაუფ – როტბანდი

თაბაშირის უნივერსალური ბათქაში

მასალის ხარჯი

მასალების ხარჯი მოცემულია 1 კვ. მ ზედაპირზე დატანილი 10 მმ-ის სისქის ბათქაშისათვის (დანაკარგების გათვალისწინების გარეშე).

მასალა	ზომის ერთეული	რაოდენობა
კნაუფ-როტბანდი	კგ/მ²	8.5
კნაუფ-ბეტოკონტაქტი	კგ/მ²	0.3
კნაუფ როტბანდ-გრუნდი	კგ/მ²	0.4
კნაუფ გრუნდირმიტელი	კგ/მ²	0.1-0.15

მშრალი ნარევის ერთი ტომარა (30 კგ) საკმარისია ~ 3,5 მ² ზედაპირის მოსაბათქაშებლად.

საბათქაშე სამუშაოების თანმიმდევრობა

საბათქაშე დუღაბის მომზადება.

პლასტმასის ავზში ჩაასხით ~ 18 ლ. სუფთა ცივი წყალი ერთ ტომარა (30 კგ) მშრალი ნარევისათვის. წყალში ჩახარეთ 5-7 ქაფჩა მშრალი საბათქაშე მასა და მოურიეთ. შემდეგ ჩაყარეთ ტომარაში დარჩენილი ნარევი და მოურიეთ საბათქაშე მიქსერით ერთგვაროვანი მასის მიღებამდე, ისე, რომ არ დარჩეს არანაირი გუნდები. გააჩერეთ 5 წუთი და ისევ მოურიეთ.

საბათქაშე დუღაბის მომზადება.

დაუშვებელია ხსნარში სხვა კომპონენტების დამატება!

საბათქაშე ხსნარის დატანა.

ადუღაბების შემდეგ დამზადებული საბათქაშე ხსნარი 20-25 წუთის განმავლობაში დაიტანეთ ზედაპირზე სისქით 5-დან 50 მმ-დე. ჭერზე ბათქაში დაიტანება სისქით არაუმეტეს 15 მმ-ისა. კედელზე დუღაბი შეაყარეთ კელმით (დიდი ქაფჩით) ან დაიტანეთ საბათქაშე ფარიკით ქვემოდან ზემოთ, რის შემდეგაც ზედაპირი გაასწორეთ ზიგზაგისებრი მოძრაობებით h-სამართის საშუალებით.

თუ საჭიროა კედელზე უფრო სქელი ფენის მიღება, მაშინ პირველი, ჯერ კიდევ რბილი ფენა უნდა „დაივარცხნოს“ საბათქაშე სავარცხლით (ქიმით) და მხოლოდ გაშრობის შემდეგ დამუშავდეს გრუნტით კნაუფ-გრუნდირმიტელი ან კნაუფ როტბანდ-გრუნდი და შემდეგ დატანილ იქნას ბათქაშის მეორე ფენა. ჭერის მობათქაშება ხდება მხოლოდ ერთ ფენად სისქით არაუმეტეს 15 მმ-ისა.

ცემენტ-ბურბუშელიანი ფილებისა და ქაფპოლისტიროლის საფუძველი უნდა მობათქაშდეს მთელი ზედაპირის არმირებით 5X5 მმ უჯრედების მქონე მინაქსოვილის ბადით. მინაბადეს ხარჯი ზედაპირის 1 კვ.მ.-ზე შეადგენს დაახლოებით 1.2 კვმ.-ს.

ზედაპირის გასწორება

როგორც კი საბათქაშე დუღაბი დაიწყებს გამაგრებას (დაახლოებით ადუღაბებიდან 45-60 წ. შემდეგ) ზედაპირი უნდა გასწორდეს ლითონის ტრაპეციისებრი ლარტით ან ფართო ლითონის ფითხით, ზედმეტობების მოჭრითა და ჩაღრმავებების შევსებით. გაშრობის შემდეგ, ამგვარ ზედაპირზე შეიძლება კნაუფ-ფლიზენის წებოს მეშვეობით დაწებდეს კერამიკული ფილა, მაგრამ მანამდე ზედაპირი უნდა დამუშავდეს ღრმა შეღწევის გრუნტით კნაუფ – ტიფენგრუნდი (ფილაზე წყლის პირდაპირი მოხვედრის ადგილებში ზედაპირი უნდა დამუშავდეს ჰიდროიზოლაციით კნაუფ-ფლეხენდიხტი). ბათქაშის ფენის მინიმალური სისქე კერამიკული ფილის მიწებებისათვის არის 10 მმ.

ზედაპირის გადალესვა

თუ ზედაპირი მზადდება შეღებვის ან შპალერის გაკვრისათვის, მაშინ მცირე დროის შემდეგ (დაახლოებით 15 წუთი) ბათქაში კარგად უნდა დასველდეს წყლით და გადაილესოს წრიული მოძრაობით ხეშში ღრუბელის ან ქეჩის სახეხის დახმარებით, რათა გასწორდეს არსებული ხარვეზები და ასევე ტრაპეციისებრი ლარტყისაგან ან ფართო სამართისაგან დატოვებული კვალი.

ზედაპირის გასწორება

მობათქაშებულ კედელს ცოტა ხანი უნდა ვაცალოთ, სანამ გაჩნდება გლუვი ზედაპირი, შემდეგ ბათქაში უნდა გასწორდეს ფართო სამართით ან უჟანგავი ლითონის სახეხის (საგლუვის) ფართო მოძრაობებით. ასეთ ზედაპირზე შეიძლება შპალერის გაკვრა. პრიალა ზედაპირის მისაღებად საჭიროა დღე-ღამის განმავლობაში, ოღონდ მშრალი ნარევის წყალში გაზავებიდან სულ მცირე 2.5-2 საათის შემდეგ, ბათქაში კვლავ კარგად დასველდეს წყლით და განმეორებით გასწორდეს ლითონის საგლუვით. ასეთი დამუშავების შემდეგ აღარ არის საჭირო ბათქაშის ზედაპირის შეფითხვნა და ის გამოსადეგია მაღალხარისხიანი შეღებვისათვის.

ჭერის ზედაპირის გასწორების შემდეგ ბათქაშის ფენა უნდა გაიჭრას „შტუკზაგე“-ს ხერხით სიღრმეზე ოთახის მთელ პერიმეტრზე, რათა თავიდან აცილებულ იქნას ბზარების წარმოქმნა.

ზედაპირების სტრუქტურირება

შესაძლოა ბათქაშის ზედაპირის სტრუქტურირება, ანუ მისთვის სხვადასხვა ნახატისა და ფაქტურის მიცემა. ამისათვის ნარევის დატანისა და სამართით გასწორების შემდეგ საჭიროა ჯერ კიდევ რბილ ზედაპირზე რელიეფის მიმცემი ლილვაკის გატარება ამ რაიმე სტრუქტურის მიცემა საყალიბე ინსტრუმენტით, მაგალითად, ქაფჩით, საგლესით, უხეში ფუნჯით.

რეკომენდაციები

ბათქაშის სწრაფი გაშრობისათვის საჭიროა ოთახის კარგი განიავების (ვენტილაციის) უზრუნველყოფა. დეკორატიული საფარის დატანამდე ბათქაში უნდა დამუშავდეს გრუნტით კნაუფ-ტიფენგრუნდი.

დაბინძურებული ავზები და ინსტრუმენტები ამცირებენ საბათქაშე ხსნარის გამოყენების დროს, ამიტომ სამუშაოს დასრულების შემდეგ ისინი უნდა გაირეცხოს წყლით.

ინსტრუმენტები

- პლასტმასის ავზი 50-125 ლ
- ბათქაშის მიქსერი (N>800 ვტ)
- უჟანგავი ფოლადის კელფა (დიდი ქაფჩა)
- საბათქაშე ფარიკა
- ალიმინის სამართი (h-პროფილი) ან უჟანგავი ფოლადის ფართო სამართი
- ალუმინის ტრაპეციისებრი სამართი
- ღრუბელის საგლესი
- ლითონის სახეხი (საგლესი)
- საბათქაშე სავარცხელი (ქიმი)
- საბათქაშე რანდა

ტელ.: +995 32 224 25 02/03

ფაქსი: +995 32 224 25 04

www.knauf.ge

info@knauf.ge

შპს კნაუფ გიპს თბილისი

საქართველო, თბილისი, ქიზიყის ქ. 17

კნაუფის სისტემების კონსტრუქციული, სტატიკური და სამშენებლო ფიზიკური მახასიათებლების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ კნაუფის სისტემების კომპონენტების ან კნაუფის მიერ რეკომენდებული მასალების გამოყენების შემთხვევაში.

KNAUF

გერმანული სტანდარტი